

გურამ იმნაძე

ირიბი ჩვენების გამოყენების წესი

(შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)



თბილისი 2015 წ.

სარჩევი

შესავალი	3
ნაწილი 1. ირიბი ჩვენების წესი	4
1. ირიბი ჩვენების წესის ცნება და მისი ისტორიული განვითარება	4
2. ირიბი ჩვენების შეფასება ინგლისისა და უელსის სამართლის კომისიის მიერ	6
ნაწილი 2. შედარებითი ანალიზი და საერთაშორისო პრაქტიკა	7
1. დიდი ბრიტანეთი	7
2. ამერიკის შეერთებული შტატები	11
3. კანადა	14
4. ავსტრალია.....	16
5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა	17
ნაწილი 3. ქართული კანონმდებლობა	20
1. ჩვენების ცნება და მნიშვნელობა.....	20
2. მოწმის ჩვენების შემოწმება.....	20
3. ირიბი ჩვენება ქართულ კანონმდებლობაში	22
4. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ირიბ ჩვენებაზე.....	24
5. დეპონირებული ჩვენება და ირიბი ჩვენება.....	26
6. დასკვნა.....	27

შესავალი

ქართული კანონმდებლობისთვის ირიბი ჩვენება ხანგრძლივი ისტორიის მქონე ინსტიტუტს არ წარმოადგენს და მისი მოწესრიგების საკითხიც აქამდე ფართო მსჯელობის საგანი არ გამხდარა. თუმცა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებამ ცხადყო, რომ ირიბი ჩვენება სისხლის სამართლის პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტია და მისი მოწესრიგება, დიდწილად განსაზღვრავს ქვეყანაში მართლმსაჯულების ხარისხს. ზოგადად მტკიცებულებების, მათ შორის ირიბი ჩვენების გამოყენების საკითხს საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს, რომლის მიხედვითაც ბრალდების დადგენილება და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ ტკიცებულებებს და ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.¹

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ არ არსებობს ირიბი ჩვენების მოწესრიგების უნივერსალური მოდელი, რომლითაც ყველა სახელმწიფო იხელმძღვანელებდა. კონკრეტულ სამართლებრივ სისტემებში, აღნიშნულ ინსტიტუტს განსხვავებული მოწესრიგება აქვს და მისი სასამართლო განხილვაზე დაშვება თუ გამორიცხვა სხვადასხვაგვარი პროცედურებით ხორციელდება. ზოგიერთ ქვეყანაში, ირიბი ჩვენების დასაშვებობისთვის მინიმალური პირობებს არსებობაც კი საკმარისია, მაგრამ არსებობს ქვეყნები, სადაც ზოგადი წესით, ირიბი ჩვენება დაუშვებელ მტკიცებულებად ითვლება, გარდა კანონით განსაზღვრული კონკრეტული გამონაკლისებისა.² თავის მხრივ, საგამონაკლისო შემთხვევების ფარგლებიც ქვეყნების მიხედვით განსხვავდება. ზოგადად, ირიბი ჩვენება ნაკლები სანდოობის მქონე მტკიცებულებად მიიჩნევა და ამა თუ იმ სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისას მისი გამოყენით გამოწვეული შესაძლო ზიანის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა ადეკვატური მექანიზმების არსებობა, რაც შესაძლებელს გახდის ამ მტკიცებულების სანდოობის შემოწმებას.³

წარმოდგენილ კვლევაში განხილულია შემდეგი საკითხები: ირიბი ჩვენების წარმოშობის მიზეზები და მოკლე ისტორიული ექსკურსი; ქართული საპროცესო კანონმდებლობისთვის რელევანტური საერთაშორისო გამოცდილება; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ირიბ ჩვენებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, წინამდებარე კვლევაში ასევე გაანალიზებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიერ შექმნილი ნორმატიული ჩარჩო, არსებული პრობლემური საკითხები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გავლენა ირიბი ჩვენების დასაშვებობის

¹ საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილი.

² საქართველოს უზენაესი სასამართლო. ირიბი ჩვენების დასაშვებობა და გამონაკლისები - ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა. გვ. 1. იხ.

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-kvlevebi4.pdf>

³ <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-kvlevebi2.pdf> გვ. 4

თაობაზე. კვლევაში წარმოდგენილ შედარებით ანალიზში მიმოხილულია საერთო სამართლის ქვეყნები, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ, ქართული საპროცესო კანონმდებლობის მსგავსებით აღნიშნულ სისტემასთან, მეორე მხრივ კი იმით, რომ ირიბი ჩვენების ინსტიტუტის განვითარება სწორედ საერთო სამართლის სისტემას და მასში მოქმედ პრინციპებს უკავშირდება.

ნაწილი 1. ირიბი ჩვენების წესი

1. ირიბი ჩვენების წესის ცნება და მისი ისტორიული განვითარება

ზოგადად, „ირიბი ჩვენების წესი“⁴ კრძალავს ისეთი ჩვენების სასამართლოში დასაშვებობას, რომლის პირველწყაროც არის სხვა პირი და არა უშუალოდ ის, ვინც სასამართლოს წინაშე იძლევა ჩვენებას. შესაბამისად, ასეთ ჩვენებაში მოხსენიებული ფაქტების ნამდვილობის შემოწმება სასამართლოში ვერ ხერხდება.⁵ სამართლებრივ დოქტრინაში მიჩნეულია, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტთან ერთად, „ირიბი ჩვენების წესი“ უშუალოდ დაკავშირებულია „მტკიცების“ ანგლო-ამერიკულ მოდელებთან, რომელიც შეჯიბრებითობის პრინციპს ეფუძნება და სადაც მხარეები მთლიანად არიან პასუხისმგებელნი თავიანთი პოზიციის დასაბუთებაზე.⁶

ირიბი ჩვენების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება, ჯერ კიდევ მე-13 საუკუნეში ჩამოყალიბდა და გაჩნდა მისი სასამართლო განხილვებიდან გამორიცხვის აუცილებლობა.⁷ ამგვარი აუცილებლობა განპირობებული იყო იმით, რომ სასამართლოები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მხარეების მიერ მოწმის დაკითხვა სამართლიანი სასამართლოს უფლებას მიეკუთვნება. შესაბამისად, როდესაც სასამართლოში მოხსენიებული ფაქტების ნამდვილობისა და სანდოობის გადამოწმება მეორე მხარეს არ შეეძლო იმის გამო, რომ მისი ავტორი არ იყო წარმოდგენილი განხილვაზე, სასამართლოები ასეთ ჩვენებას დაუშვებლად ცნობდნენ „ირიბი ჩვენების წესის“ (Hearsay Rule) საფუძველზე.

⁴ ინგ. Hearsay Rule

⁵ ირლანდიის სამართლებრივი რეფორმების კომისია, საკონსულტაციო ნაშრომი, „ირიბი ჩვენება სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში“, გვ. 11, 2010 წ, იხ: <http://www.lawreform.ie/fileupload/hearsayfull.pdf>, განახლებულია 09.06.2015

⁶ Wigmore Evidence in Trials at Common Law (3rd ed Little Brown & Co., 1974) at 20-28, მოხსენიებულია: ირლანდიის სამართლებრივი რეფორმების კომისია, საკონსულტაციო ნაშრომი, „ირიბი ჩვენება სამოქალაქო და სისხლის სამართლის ქვეყნებში“, გვ. 11, 2010 წ.

⁷ Turner Kenny's Outlines of Criminal Law (19th ed Cambridge University Press, 1966) at 565., მოხსენიებულია N2-ში, გვ.11.

„ირიბი ჩვენების წესი“ ანუ ირიბი ჩვენების სასამართლოზე განხილვისას დაუშვებლობა, გავრცელებული იყო შუა საუკუნეების პროცესებშიც. როგორც აღნიშნა, მისი წარმოშობა და შესაბამისი წესების განვითარება დიდწილად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უკავშირდებოდა.⁸ ნაფიცი მსაჯულები, იმ პერიოდში, არაფორმალურად ეხმარებოდნენ გამოძიებას და ლოკალური ცოდნის მეშვეობით გამოჰქონდათ ვერდიქტი. აღნიშნულ პერიოდში, ნაფიცი მსაჯულები შეირჩეოდნენ არა ნეიტრალურობისა და ობიექტურობის კრიტერიუმით, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენად საკმარის და სრულყოფილ ინფორმაციას ფლობდნენ ისინი განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო, მსაჯულების წინასწარ არსებული ცოდნა ყოფილიყო უტყუარი და ის არ დამყარებოდა მეორად წყაროს. დღევანდელი ფორმით არსებული მოწმის ჩვენების ინსტიტუტი მოგვიანებით, მე-16 საუკუნეში განვითარდა.⁹ ამ დროიდან, მოწმის ჩვენება სასამართლოსთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მტკიცებულებად იქცა.

მე-16 საუკუნის ბოლოსკენ, ირიბი ჩვენება დასაშვები იყო, მაგრამ სასამართლოებში მის მიმართ დამოკიდებულება იცვლებოდა. მე-17 საუკუნის ბოლოს დიდ ბრიტანეთში რამდენიმე სასამართლომ უარი განაცხადა ასეთი მტკიცებულების დაშვებაზე. მე-17 საუკუნის ბოლოსა და მე-18 საუკუნის დასაწყისში ირიბი ჩვენება ჯერ კიდევ დასაშვები იყო, თუმცა დასაშვებობისთვის აუცილებელი იყო სხვა ისეთი მტკიცებულების არსებობა, რომელიც გაამყარებდა ირიბ ჩვენებას.¹⁰

მე-19 საუკუნის დასაწყისში, „ირიბი ჩვენების წესი,“ რომლის მიხედვითაც ირიბი მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობა ხდებოდა, უკვე დამკვიდრებული იყო დიდ ბრიტანეთში. მიზეზი იმისა, თუ რატომ დამკვიდრდა აღნიშნული წესი, სამართლის ისტორიკოსებს შორის მსჯელობის საგანს წარმოადგენს. მაგალითისათვის, ამერიკელი მეცნიერი ვიგმორი მიიჩნევდა, რომ ზემოაღნიშნული წესის განვითარებას ხელი შეუწყო ნაფიცი მსაჯულების მიერ ირიბი ჩვენების შეფასების შესაძლებლობის მიმართ არსებულმა სკეპტიკურმა განწყობამ.¹¹ სხვანი მიიჩნევენ, რომ ასეთი მტკიცებულების დაუშვებლობის საკითხი განპირობებული იყო ჯვარედინი დაკითხვის შეუძლებლობით, რითაც მეორე მხარეს ეზღუდებოდა საკუთარი პოზიციის დაცვის უფლება.¹²

⁸ იქვე, გვ. 12.

⁹ იქვე, გვ.12-13.

¹⁰ Turner Kenny's *Outlines of Criminal Law* (Cambridge University Press, 19th ed, 1966) at 499; მოხსენიებულია: ირლანდიის სამართლებრივი რეფორმების კომისია, საკონსულტაციო ნაშრომი, „ირიბი ჩვენება სამოქალაქო და სისიხლის სამართლის საქმეებში“, გვ. 14, 2010 წ.

¹¹ Wigmore *Evidence in Trials at Common Law* (3rd ed Little Brown & Co., 1974) at 29, მოხსენიებულია: ირლანდიის სამართლებრივი რეფორმების კომისია, საკონსულტაციო ნაშრომი, „ირიბი ჩვენება სამოქალაქო და სისიხლის სამართლის საქმეებში“, გვ. 15, 2010 წ.

¹² იქვე, გვ 14.

იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა კვლევის მიხედვით, ნაფიცი მსაჯულები ხშირად სრულად ვერ აცნობიერებდნენ მოსამართლის მიერ მათთვის მიცემულ სამართლებრივ მითითებებსა და განმარტებებს, მკვლევარები მიიჩნევდნენ, რომ იქმნებოდა საფრთხე, ნაფიც მსაჯულებს ირიბი ჩვენებისათვის იგივე წონა მიენიჭებინათ, რაც პირდაპირ მტკიცებულებას აქვს.¹³

შემდეგში, XIX საუკუნის ბოლოს, ირიბ ჩვენებასთან დაკავშირებით ორი ძირითადი მიდგომა გამოიკვეთა: 1) ყველა ირიბი ჩვენების გამორიცხვის წესი, თუმცა ასეთი ჩვენების გამოყენება ინკლუზიური გამონაკლისების გათვალისწინებით; 2) ირიბი ჩვენების ზოგადად დასაშვებად ცნობა, მაგრამ ექსკლუზიური გამონაკლისების გათვალისწინებით¹⁴. საბოლოოდ, ექსკლუზიური მიდგომა გახდა დომინანტი და სწორედ ეს წესი დამკვიდრდა პრაქტიკაში.

2. ირიბი ჩვენების შეფასება ინგლისისა და უელსის სამართლის კომისიის მიერ

1997 წელს ინგლისსა და უელსში ირიბ ჩვენებასთან დაკავშირებული საკითხები სამართლის სპეციალური კომისიის განხილვის საგანი გახდა.¹⁵ კომისიის მოსაზრებით, „ირიბი ჩვენების წესის“ თეორიული არსი არის ის, რომ იგი იცავს ნაფიც მსაჯულებს ისეთი მტკიცებულების ნახვის ანდა მოსმენისაგან, რომელიც პოტენციურად შეიძლება ტყუილი იყოს ან სიმართლეს არ შეესაბამებოდეს.¹⁶ იქიდან გამომდინარე, რომ ირიბი ჩვენება არ ემყარება ფიცს და არც პირველწყაროს ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობა არსებობს, შეუძლებელი ხდება იმის დადგენა, რამდენად არის მოწოდებული ინფორმაცია სიმართლე.¹⁷

კომისიამ განიხილა მოსაზრება, რომ ირიბი ჩვენება, როგორც მტკიცებულება, არ არის „საუკეთესო მტკიცებულება“, რომელზე დაყრდნობაც არის შესაძლებელი.¹⁸ კომისიამ ეს მოსაზრება შეაფასა და მივიდა დასკვნამდე, რომ ირიბი ჩვენების დასაშვებობის გამონაკლისების გათვალისწინებით, ხანდახან შესაძლებელია, სწორედ ასეთი მტკიცებულება წარმოადგენდეს მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ერთადერთ ხელმისაწვდომ მტკიცებულებას.¹⁹ ასევე აღინიშნა, რომ თუ ნებისმიერი ტიპის ირიბი ჩვენება

¹³ იქვე, გვ. 15.

¹⁴ იქვე, გვ. 24.

¹⁵ იხ: http://lawcommission.justice.gov.uk/docs/lc245_evidence_in_criminal_proceedings_hearsay_and_related_topics.pdf, განახლებულია: 10.06.2015.

¹⁶ იქვე, ¶ 23.

¹⁷ იქვე, ¶ 23.

¹⁸ იქვე, 23-24, მოხსენიებულია: Conor Mulcahy, Unfair Consequences: How the Reforms to the Rule Against Hearsay in the Criminal Justice Act 2003 Violate a Defendant's Right to a Fair Trial Under the European Convention on Human Rights, p.413, Boston College International and Comparative Law Review, Volume 28 Issue 2.

¹⁹ იქვე, გვ. 413.

არ შეიძლებაოდა ყოფილიყო „საუკეთესო“ მტკიცებულება კონკრეტული საქმისთვის, მოსამართლეები და კანონმდებელი არ დათანხმდებოდნენ მისი დასაშვებობის გამოწვევის პირობებს. შესაბამისად, კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ მოსამართლეებმა და კანონმდებელმა სწორედ იმ გააზრებით შექმნეს ირიბი ჩვენების დასაშვებობის გამოწვევისებები, რომ ზოგჯერ სწორედ ასეთი ჩვენებაა ერთადერთი და საუკეთესო ხელმისაწვდომი მტკიცებულება.²⁰

კომისიამ, ამავდროულად, განიხილა ირიბი ჩვენების გამოყენებასთან დაკავშირებული რისკები. ამ კუთხით, საყურადღებო იყო შემთხვევა, როდესაც დაცვის მხარე ეყრდნობოდა ირიბ ჩვენებას, რომლის მიხედვითაც, დანაშაული არა ბრალდებულმა, არამედ სხვა პირმა ჩაიდინა. ასეთ დროს, შესაძლებელი იყო დამანაშავის გათავისუფლება, რადგან ირიბი ჩვენების გამოყენებით ბრალდებული გონივრულ ეჭვს შეუქმნიდა ნაფიც მსაჯულებს, რომ დანაშაული სხვა პირმა ჩაიდინა. თუმცა, კომისიამ მიიჩნია, რომ ასეთი შემთხვევების თავიდან აცილება შესაძლებელი იყო ირიბი ჩვენების დასაშვებობის შეზღუდვით.²¹ კომისიამ განიხილა ირიბი ჩვენების წესის ლიბერალიზაციის საწინააღმდეგო კიდევ ერთი არგუმენტი - ბრალდებულს აქვს უფლება, დაკითხოს მოწმე, რომელიც მის წინააღმდეგ აძლევს ჩვენებას. არგუმენტის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ უფრო ადვილია მოიტყუო ადამიანის ზურგს უკან, ვიდრე მის პირისპირ.²² აღნიშნულზე დაყრდნობით, კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ ერთადერთი გამოყენებადი არგუმენტი, რომელიც ირიბ ჩვენებას სხვა მტკიცებულებებთან შედარებით, ნაკლებად დამარწმუნებლად აქცევს, არის ის, რომ ვერ ხერხდება ინფორმაციის მომწოდებლის ჯვარედინი წესით დაკითხვა.²³

ნაწილი 2. შედარებითი ანალიზი და საერთაშორისო პრაქტიკა

1. დიდი ბრიტანეთი

გაერთიანებულ სამეფოში, ზოგადი წესის თანახმად, ირიბი ჩვენება მტკიცებულებად არ დაიშვება, თუ საერთო სამართლის დებულებებით სხვაგვარად არ არის დადგენილი. ამასთან, მოქმედებს სამი ძირითადი პრინციპი: 1) მოსამართლეს აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, საქმიდან ამოიღოს ნებისმიერი მტკიცებულება, თუ ჭეშმარიტების დადგენაზე მისი ზიანის მომტანი ეფექტი გადაწონის მის სამართლებრივ (მტკიცებულებით) ღირებულებას; 2) იმ შემთხვევაშიც კი, თუ ირიბი ჩვენება დაშვებული იქნება და მსაჯულები მოისმენენ მას, მოსამართლე საბოლოო შეფასებისას ვალდებულია გააფრთხილოს ისინი იმ

²⁰ Law Commission for England and Wales, Evidence in Criminal Proceedings: Hearsay and Related Topics (1997),

¶23, ხელმისაწვდომია: http://lawcommission.justice.gov.uk/docs/lc245_evidence_in_criminal_proceedings_hearsay_and_related_topics.pdf , განახლებულია: 10.06.2015

²¹ იქვე, ¶24.

²² იქვე, ¶ 34.

²³ იქვე, ¶ 34.

საფრთხეების შესახებ, რაც შეიძლება გამოიწვიოს ირიბ ჩვენებაზე დაყრდნობამ. 3) მსაჯულებმა ბრალდებულის ბრალეულობის გადაწყვეტისას უნდა გაითვალისწინონ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის წესი, მათ შორის, აღნიშნულ სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს ირიბი ჩვენებებით წარმოქმნილი მტკიცებითი ხარისხიც.²⁴

2003 წლის სისხლის სამართლის აქტმა (Criminal Justice Act 2003) განსაზღვრა რიგი გამონაკლისებისა ირიბი ჩვენების მტკიცებულებად დაშვების თაობაზე (სისხლის სამართლის აქტის მე-11 ნაწილის II თავის 114-136 მუხლებში). აღნიშნული ნორმები ძალაში შევიდა 2005 წლის 4 აპრილს და ვრცელდება მოცემული თარიღიდან წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებზე. აქტის 114 (1) მუხლი განსაზღვრავს იმ საკანონმდებლო საფუძვლებს, რომლებიდან ერთ-ერთის არსებობის შემთხვევაშიც, ირიბი ჩვენება შეიძლება დაშვებული იყოს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებად. ასეთი საფუძვლებია:

- აღნიშნული აქტით და ზოგადად კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევები (a და b ქვეპუნქტები);
- პროცესის ყველა მხარის თანხმობა მტკიცებულების დასაშვებობაზე;²⁵
- სასამართლოს დასკვნა, რომ აღნიშნული მტკიცებულების დაშვება შედის მართლმსაჯულების ინტერესში;²⁶

კანონმდებლობით აგრეთვე დადგენილია, რომ მტკიცებულებების მართლმსაჯულებისთვის სარგებლიანობის საკითხის გადაწყვეტისას, მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები:

- რამდენად აქვს ჩვენებას მტკიცებულებითი მნიშვნელობა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ან რამდენად ღირებულია იგი სხვა მტკიცებულების გაგებისთვის;
- სხვა რომელი მტკიცებულება არსებობს ან შეიძლება არსებობდეს ამ საკითხთან დაკავშირებით;
- რამდენად მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს საქმისთვის ხსენებული მტკიცებულება;
- გარემოებები, რომელშიც ჩვენება იქნა მიცემული;
- რამდენად სანდო ჩანს ჩვენების მიმცემი პირი;
- რამდენად სარწმუნოა თავად ჩვენება, რომელიც ამ პირმა მისცა;

²⁴ Relevant Domestic Law and Practise- Common Law Principles relevant to both cases/ Al-Khawaja and Tahery v United Kingdom; Judgment 15.12.2011

²⁵ Criminal Justice Act 2003/ Part 11, Chapter 2/ Section 114 (1) (c)

²⁶ იმავე 114 (1) (d)

- შეიძლება თუ არა პირდაპირი ჩვენების მიცემა (პირდაპირი მტკიცებულების წარმოდგენა სასამართლოზე) და თუ არ შეიძლება, რატომ;
- რა სირთულებები იყო ჩვენების მიცემისას;
- რამდენად შესაძლებელია, რომ ამ სირთულებებს ემოქმედა წინასწარი აზრის შექმნაზე.²⁷

ირიბი ჩვენების დასაშვებობის წესები აგრეთვე ვრცელდება გამოქვეყნებულ ისტორიულ თუ სამეცნიერო ნაშრომებზე, რომლებიც ეხება საჯარო ხასიათის ინფორმაციას;²⁸ საჯარო დოკუმენტაციას (როგორცაა საჯარო რეესტრის, სახელმწიფო ორგანოების პერიოდული ანგარიშების მონაცემები);²⁹ სასამართლო სხდომის, სხვადასხვა კოლეგიური ორგანოსა თუ კომისიის სხდომების ოქმებს და სხვ.³⁰

სისხლის სამართლის აქტის მიხედვით, როდესაც პირდაპირი მოწმის გამოცხადება სასამართლოზე გარკვეული მიზეზებით შეუძლებელია, ირიბი ჩვენება დაიშვება მხოლოდ ჩამოთვლილი პირობების სრულად არსებობისას: 1) ის პირდაპირი ჩვენება, რომელსაც ირიბი ჩვენება ეფუძნება, დასაშვები მტკიცებულება იქნებოდა მოცემულ საკითხზე; 2) პირი, რომელმაც ჩვენება მისცა (შესაბამისი პირდაპირი მოწმე), სასამართლოს მიერ მიჩნეულია სანდოდ.³¹ ამასთან, აუცილებელია, არსებობდეს სასამართლოზე არდასწრების გამამართლებელი შემდეგი ხუთი გარემოებიდან ერთერთი:

ა) პირი გარდაიცვალა;

ბ) შეუძლებელია, რომ პირი იყოს მოწმე თავისი ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე;

გ) იგი იმყოფება ქვეყნის საზღვრებს გარეთ და არაგონივრული ან შეუძლებელია მისი პროცესზე დასწრების უზრუნველყოფა;

დ) დაუდგენელია მისი ადგილსამყოფელი მიუხედავად ყველა გონივრული მცდელობისა;

ე) ძლიერი შიშის გამო მოცემულ საკითხზე პირი ვერ აძლევს ზეპირ ჩვენებას სასამართლოზე.³²

რაც შეეხება რამდენიმე ირიბ ჩვენებას, სისხლის სამართლის 2003 წლის აქტი არ უშვებს ირიბ ჩვენებას სხვა ასეთივე ჩვენების ნამდვილობის დასამტკიცებლად, გარდა რამდენიმე

²⁷ იმავე 114 (2)

²⁸ იმავე 118 (1) (a)

²⁹ იმავე 118 (1) (b)

³⁰ იმავე 118 (1) (c)

³¹ იმავე 116 (1) (a)

³² Criminal Justice Act 2003/ Part 11, chapter 2; 116 (2)

გამონაკლისისა: კერძოდ როცა ყველა მხარე თანახმაა; ან სასამართლო დარწმუნდება, რომ მოცემული მტკიცებულების ღირებულება იმდენად მაღალია, რომ მართლმსაჯულების ინტერესები მოითხოვს მის დაშვებას.³³

საქმეში R. v. Riat (2012) სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ირიბი ჩვენების დასაშვებობის ნებისმიერი პირობის არსებობისას, მოსამართლემ მაინც უნდა შეამოწმოს შემდეგი სამი გარემოება: 1) საქმისთვის ამ მტკიცებულების მნიშვნელობა; 2) რისკები, რომლებიც ამ მტკიცებულების ნაკლებ სანდოობას უკავშირდება და 3) პირველადი მოწმის სანდოობის გადამოწმება რამდენად არის შესაძლებელი.³⁴ აღნიშნულ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ ირიბი ჩვენება ავტომატურად დაუშვებელი მტკიცებულება არაა, თუმცა კანონით განსაზღვრული დასაშვებობის გამონაკლისი პირობების არსებობის შემთხვევებშიც, სასამართლომ უნდა შეაფასოს კონკრეტული მტკიცებულება ზემოაღნიშნული სამი მიმართულებით.

იგივე საქმეში სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა სისხლის სამართლის აქტის (Criminal Justice Act 2003) მიერ შექმნილ ნორმატიულ ჩარჩოზე და განსაზღვრა ის 6 ძირითადი ნაბიჯი (გარემოება), რომლებსაც სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს:

- 1) არსებობს თუ არა კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი, რომლითაც შესაძლებელია მტკიცებულების დაშვება - ამ კონტექსტში განსაკუთრებით ყურადსაღებია ისეთი შემთხვევები, როდესაც სასამართლო ირიბ ჩვენებას უშვებს იმ საფუძველით, რომ ის მნიშვნელოვანია მართლმსაჯულებისთვის;
- 2) რა კონკრეტული ბერკეტები არსებობს საიმისოდ, რომ შემოწმდეს ირიბი ჩვენება;
- 3) შესაძლებელია თუ არა შემოწმდეს, მართლმსაჯულების რა კონკრეტულ ინტერესს ემსახურება მტკიცებულების დაშვება;
- 4) თუკი დაშვების არავითარი სხვა საფუძველი არ არსებობს, არის თუ არა მართლმსაჯულების ინტერესი იმდენად ძლიერი, რომ ირიბი ჩვენება საქმეზე დაიშვას;
- 5) რამდენად საჭირო და გამართლებულია მოსამართლის მიერ მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება, რომლითაც მას შეუძლია ზოგადი საფუძველით დაუშვებლად ცნოს როგორც ბრალდებულის, ისე პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულება;

³³ იქვე 121 (1)

³⁴ A. keane, P. Mckeown. The Modern Law of Evidence. გვ. 332. იხ:

https://books.google.ge/books?id=C0dYBAAAQBAJ&pg=PA332&lpg=PA332&dq=R+v+Riat+brief&source=bl&ots=eXqYhqYdd6&sig=zD3UzPfe58Xf-Ib8TJZVPRYCGZ0&hl=en&sa=X&ei=7IWjVZbED8qrUf3gg_AK&ved=0CFgQ6AEwCQ#v=onepage&q=R%20v%20Riat%20brief&f=false

- 6) თუკი მტკიცებულება დაიშვება, რამდენად იქონიებს ის გავლენას საქმის შეწყვეტაზე იმ საფუძვლით, რომ საქმე ეფუძნება არასაკმარისად მყარ და სანდო მტკიცებულებებს (აქტის 125-ე მუხლი).³⁵

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობა და პრაქტიკა საკმაოდ ზოგად სტანდარტებს აწესებს ირიბი ჩვენების დასაშვებობის კუთხით. მართალია, საერთო წესით, ირიბი ჩვენება დაუშვებელი მტკიცებულებაა, მაგრამ ხსენებული აქტი აწესებს აღნიშნული წესიდან გამონაკლისების დაშვების ფართო საფუძვლებს. ამავდროულად, საგამონაკლისო საფუძვლების არსებობის შემთხვევაშიც მოსამართლეს შეუძლია უარი თქვას მტკიცებულების დაშვებაზე, თუკი მიიჩნევს, რომ ერთი შეხედვით დასაშვები მტკიცებულების საქმეზე დართვა დაკავშირებულია ზედმეტი რესურსების ხარჯვასთან ან მართლმსაჯულების შეცდომაში შეყვანის საფრთხესთან. მტკიცებულების ზოგადი წესით დაუშვებლად ცნობის შესაძლებლობას მოსამართლეს აძლევს როგორც სისხლის სამართლის აქტის 116-ე მუხლი, ისე პოლიციის და სისხლის სამართლის მტკიცებულების შესახებ აქტის 78-ე მუხლი.³⁶

2. ამერიკის შეერთებული შტატები

აშშ-ის კონსტიტუციის №6 შესწორებით, სისხლის სამართლის პროცესში უზრუნველყოფილია ბრალდებულის შეპირისპირების უფლება ყველა მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემ მოწმესთან („შეპირისპირების დათქმა“). საქმეზე Ohio v. Roberts (1980) აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა შემდეგი წესი: მტკიცებულება, რომელზეც გარანტირებულია განსაკუთრებულად მაღალი სანდოობა, დასაშვებია შეპირისპირების გარეშე. ეს წესი უარყოფილ იქნა 2004 წელს საქმეში Crawford v. Washington, რომელზეც სასამართლომ დაადგინა, რომ შეპირისპირების დათქმა ვრცელდება ყველა მტკიცებულებაზე, რომელიც არის ზეპირი ჩვენება და კონსტიტუციის №6 შესწორებაში არაფერი წარმოადგენს იმგვარი დასკვნის საფუძველს, თითქოს მტკიცებულება მხოლოდ მისი სანდოობის საფუძველზე შეიძლება იქნას დაშვებული. შესაბამისად, მტკიცებულება დაუშვებელია მანამ, სანამ მოწმე არ გამოცხადდება სასამართლო პროცესზე, ხოლო სასამართლოზე მისი გამოცხადების შეუძლებლობის შემთხვევაში, ბრალდებულს უნდა ჰქონდეს მისი წინასწარი (სასამართლომდე) ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობა.³⁷

³⁵ <http://www.criminallawandjustice.co.uk/features/Admissibility-Hearsay-Evidence>

³⁶ იხ. <http://www.legislation.gov.uk/ukpga/1984/60/section/78>

³⁷ Relevant Comparative Law – United States of America/ Al-Khawaja and Tahery v. United Kingdom; Judgment 15.12.2011

აშშ-ში ირიბი ჩვენების საკანონმდებლო რეგულაციას ადგენს მტკიცებულების შესახებ ფედერალური წესები (Federal Rules of Evidence). მასში მოცემული განსაზღვრების მიხედვით, ირიბი ჩვენება წარმოადგენს განცხადებას, რომელსაც:

ა) განმცხადებელი არ აკეთებს მიმდინარე სასამართლო პროცესზე ან მოსმენაზე;

ბ) მხარე წარმოადგენს მტკიცებულების სახით ჩვენებას იმ ფაქტის ნამდვილობის დასამტკიცებლად, რომელიც გაცხადებულია ამ ჩვენებაში (პირველადი წყაროდან მიღებული ინფორმაციის დადასტურების მიზნით).³⁸

აქტი განსაზღვრავს ირიბი ჩვენების დასაშვებობის შემოწმების ორ განსხვავებულ მოდელს: 1) როდესაც არაა დამტკიცებული, რომ განმცხადებლის სასამართლოში გამოცხადება შეუძლებელია; 2) როდესაც განმცხადებლის სასამართლოში დაკითხვა შეუძლებელია. პირველ შემთხვევაში, ირიბი ჩვენება დასაშვებად შეიძლება ცნოს სასამართლომ მიუხედავად იმისა, ობიექტურად შესაძლებელია თუ არა განმცხადებლის სასამართლო სხდომაზე დაკითხვა, თუკი:

- განცხადებაში აღწერილია განმცხადებლის დაუყოვნებლივი შთაბეჭდილება კონკრეტულ შემთხვევაზე;
- განცხადება გაკეთებულია ფსიქიკური აღელვების მდგომარეობაში;
- კონკრეტულ მომენტში არსებულ ფსიქიკურ, ფიზიკურ თუ ემოციურ მდგომარეობაზე გაკეთებული განცხადება;
- სამედიცინო დიაგნოზის ან მკურნალობისთვის გაკეთებული ჩანაწერი (სამედიცინო ისტორია, დაავადების სიმპტომები);
- მოგონებების ჩანაწერი (რომელიც ასახავს, რომ მოწმემ მანამდე იცოდა საქმის დეტალები, მაგრამ არ შეუძლია ყველაფრის ზუსტად გახსენება, გაკეთებულია ისეთი პირის მიერ, რომელსაც ახალი შეტყობილი ჰქონდა მომხდარის შესახებ და ზუსტად ასახავს იმ მომენტისათვის მოწმისთვის არსებულ ცოდნას);
- ჩანაწერები რეგულარულად განხორციელებულ მოქმედებაზე;
- საჯარო ჩანაწერები;
- საჯარო სტატისტიკური ინფორმაცია;
- კონკრეტული ცერემონიების მოწმობები;
- სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებები...³⁹

³⁸ Federal Rules of Evidence/ Rule 801, (C) (1) (2)

ჩამოთვლილი საფუძვლები ნათლად მიუთითებს, რომ ირიბი ჩვენების დასაშვებობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირველწყაროს სანდოობას, კერძოდ, რა ვითარებაში გაკეთდა აღნიშნული განცხადება, რა მიზნებით და რამდენად არსებობდა განზრახ ცრუ იფორმაციის გავრცელების ინტერესი.

რაც შეეხება მეორე შემთხვევას, როდესაც პირველადი განმცხადებელი ხელმიუწვდომელია სასამართლოსთვის, ამ დროს, მოსამართლე ამოწმებს ორ გარემოებას - რა იყო გამოუცხადებლობის საფუძველი და რა ინფორმაციას მოიცავს განცხადება.⁴⁰ მოწმე სასამართლოსთვის მიუწვდომლად (აქ უფრო მეტად იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც მოწმის სასამართლოში გამოცხადებას ობიექტურად აზრი არ აქვს) ითვლება შემდეგ შემთხვევებში: 1) როდესაც თავად სასამართლო ანიჭებს პირს გამოუცხადებლობის პრივილეგიას; 2) სასამართლოს ბრძანების მიუხედავად, პირი უარს აცხადებს გამოცხადებაზე; 3) პირი აცხადებს, რომ აღარ ახსოვს საქმის ფაქტობრივი გარემოებები; 4) შეუძლებელია მისი პროცესზე გამოცხადება გარდაცვალების ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო; 5) მისმა მომწვევმა მხარემ ყველა გონივრული ძალისხმევის მიუხედავად, ვერ უზრუნველყო მოწმის გამოცხადება.

მას შემდეგ, რაც დადგინდება გამოუცხადებლობის საფუძვლები, სასამართლო ასევე ამოწმებს განსახილველ ჩვენებას შინაარსობრივი თვალსაზრისითაც. ამ შემთხვევაში, ირიბი ჩვენება დაიშვება, თუკი 1) არსებობს მიმდინარე ან სხვა პროცესზე ამ პირის ძველი ჩვენება იგივე გარემოებაზე და აღნიშნული ჩვენების მიცემისას მეორე მხარეს (ან მის სამართალმონაცვლეს) ჰქონდა პირდაპირი თუ ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობა; 2) განცხადება გაკეთებულია მოახლოებული სიკვდილის წინ; 3) განცხადება მიმართული იყო საკუთარი ინტერესის წინააღმდეგ; 4) განცხადება შეეხება პირად ან ოჯახურ ისტორიას; 5) განცხადება იმ მხარის საზიანო ინფორმაციას შეიცავს, რომელმაც კანონსაწინააღმდეგოდ გამოიწვია მოწმის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობა.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ წინასასამართლო სხდომაზე მოწმდება მხოლოდ მტკიცებულებათა საკმარისობა, რათა ალბათობის მაღალი ხარისხით, სასამართლომ დაასკვნას, რომ ადგილი ჰქონდა პირის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენას. მტკიცებულებების კანონიერება და მათი უტყუარობა, როგორც წესი, აღნიშნულ ეტაპზე არ

³⁹ ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც მნიშვნელობა არ აქვს, პირველწყაროს სასამართლოში დაბარება შესაძლებელია თუ არა, მტკიცებულებათა შესახებ ფედერალური აქტის 803 მუხლი მთლიანობაში ადგენს ირიბი ჩვენების დასაშვებობის 23 შემთხვევას. ამავდროულად, მითითებას აკეთებს აქტის 807-ე მუხლზე, რომელიც, თავის მხრივ, ასევე ამომწურავად განსაზღვრავს დასაშვებობის გამონაკლის 4 შემთხვევას: 1) როდესაც ირიბ ჩვენებას სხვა მტკიცებულებების ეკვივალენტური ჭეშმარიტების გარანტიები ახლავს; 2) ის წარმოდგენილია, როგორც მატერიალური ფაქტის მტკიცებულებად; 3) აღნიშნული მტკიცებულების ჭეშმარიტების შემოწმების უფრო მეტი შესაძლებლობა არსებობს, ვიდრე მოწინააღმდეგე მხარის მიერ იგივე ფაქტზე წარმოდგენილი მტკიცებულებების; 4) მტკიცებულების დაშვება ემსახურება „ირიბი ჩვენების წესის“ მიზნებს და მართლმსაჯულების საუკეთესო ინტერესებს;

⁴⁰ Federal Rules of Evidence/804.

მოწმდება⁴¹ და ეს საკითხები მაგისტრატის მოსამართლის კომპეტენციაში შედის.⁴² ამერიკული მოდელისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი საინტერესო დეტალი არის ის, რომ წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს, თავისი დისკრეციის ფარგლებში, შეუძლია მხარე დაავალდებულოს, მის მიერ უკვე დასაშვებად ცნობილი კონკრეტული მტკიცებულება სავალდებულო წესით წარადგინოს არსებითი განხილვის დროსაც, რადგან აღნიშნული მტკიცებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს მართლმსაჯულების ინტერესებისთვის.

3. კანადა

კანადის კანონმდებლობა და პრაქტიკა ირიბი ჩვენების სისხლის სამართლის პროცესში გამოყენების თაობაზე საკმაოდ მოქნილია. აქ გვხვდება როგორც გამონაკლისების კონკრეტული სახეები, ასევე ზოგადი პრინციპები (სანდობა და საჭიროება), რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს მტკიცებულება. მოსამართლეს ენიჭება ფართო დისკრეცია და ის კონკრეტული ინფორმაციის სარწმუნოებისა და საჭიროების შეფასების შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას მტკიცებულებას დასაშვებად ცნობის თაობაზე.

კანადის უზენაესმა სასამართლომ საქმეში **R v. Khan** გააკეთა განმარტება, თუ რომელი 2 პრინციპის დაკმაყოფილების შემთხვევაში ჩაითვლებოდა ირიბი ჩვენება დასაშვებად: 1) ირიბი ჩვენების სარწმუნოება; 2) მისი მართლმსაჯულებისთვის საჭიროება. პირველ პრინციპში იგულისხმება მტკიცებულების დამაჯერებლობა და მისი აუცილებლობა კონკრეტული გარემოების დადასტურებისათვის, რადგან საქმეში მასზე მეტი სანდობისა და მტკიცებულებითი ხარისხის მქონე ინფორმაცია შეიძლება არ არსებობდეს. ხოლო მართლმსაჯულებისთვის საჭიროებაში ნაგულისხმევია მტკიცებულების მაღალი ღირებულება, მისი წონადობა იმ შესაძლო ზიანთან, რასაც მისი საქმეზე დაშვება გამოიწვევს.

მითითებულ საქმეში, სასამართლომ 4 წლის გოგონას მიერ მის მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ დედისთვის მოთხოვნილი ინფორმაცია დასაშვებ მტკიცებულებად მიიჩნია, რადგან ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არსებობდა გონივრულად სარწმუნო და ამავედროულად, მართლმსაჯულებისთვის საჭირო მტკიცებულება.⁴³ საქმეზე, **R v Smith**, სასამართლომ განმარტა რომ **R v. Khan**-ის საქმეში გამოყენებული მიდგომა არ იყო შეზღუდული მხოლოდ ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევებით. ხსენებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიუთითა, რომ მხოლოდ ინფორმაციის პირველწყაროს გადამოწმების შეუძლებლობის გამო სარწმუნო და მართლმსაჯულებისთვის მნიშვნელოვან

⁴¹ [Preliminary Hearing - A Procedural Overview - Magistrate, Probable, Trial, and Suspect - JRank Articles](http://law.jrank.org/pages/1715/Preliminary-Hearing-procedural-overview.html#ixzz3fmPBhZbV) <http://law.jrank.org/pages/1715/Preliminary-Hearing-procedural-overview.html#ixzz3fmPBhZbV>

⁴² https://www.law.cornell.edu/rules/frcmp/rule_5.1

⁴³ Australian Law Reform Commission *Report on Uniform Evidence Law* Report 102, 2005) ¶¶ 8.52-8.58, მოხსენიებულია: CONSULTATION PAPER HEARSAY IN CIVIL AND CRIMINAL CASES (LRC CP 60 - 2010) Law Reform Commission, March 2010, გვ. 98.

მტკიცებულებაზე უარი არ უნდა ითქვას და ამ მხრივ უნდა არსებობდეს შედარებით მოქნილი მიდგომები.⁴⁴

კანადის მტკიცებულების შესახებ კანონი ადგენს ირიბი ჩვენების დასაშვებობის საგამონაკლისო შემთხვევებს.⁴⁵ პირველ ასეთ გამონაკლისს წარმოადგენს მომაკვდავი პირის განცხადება. აღნიშნული გამონაკლისი განპირობებულია იმით, რომ ზოგადად, მომაკვდავის განცხადება სიმართლეს წარმოადგენს, რადგან იგი შეეცდება სიკვდილის წინ ითქვას სიმართლე და ტყუილის მოტივაცია არ აქვს.⁴⁶ ასეთი განცხადების დასაშვებობისთვის შემდეგი კრიტერიუმები უნდა იყოს სახეზე: ა) სასამართლო პროცესი უნდა შეეხებოდეს თავად მომაკვდავის მკვლელობის საქმეს; ბ) განცხადება უნდა შეეხებოდეს გარდაცვალების მიზეზს; გ) განმცხადებელს უნდა სცოდნოდა, რომ სიკვდილი მოახლოებული იყო; დ) მისი სიცოცხლის შემთხვევაში, განმცხადებელი დააკმაყოფილებდა მოწმისადმი დადგენილ მოთხოვნებს.

მეორე გამონაკლისს მიეკუთვნება შემთხვევა, როდესაც განცხადება გაკეთებულია ბრალდებულის თანდასწრებით და არსებობს იმის წარმოჩენის შესაძლებლობა, რომ ბრალდებულმა თავისი სიტყვებით, ქმედებით თუ რეაქციით არ უარყო ან დაეთანხმა განცხადებას.⁴⁷

ასევე, გამონაკლისს მიეკუთვნება „Res Gestae“ (სპონტანური განცხადებები) ვითარება. აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც განცხადება ან დეკლარაცია კეთდება დანაშაულის ჩადენამდე ან მისი ჩადენიდან უახლოეს დროში და მისი პირველწყარო, შესაძლებელია, იყოს როგორც გარეშე თვითმხილველი, ისე ბრალდებული ან დაზარალებული.

სპონტანური განცხადების მაგალითი განხილულია **R. v. Wilkinson**-ის საქმეში.⁴⁸ ამ საქმეში ბრალდებულის ცოლმა ქმართან ჩხუბის შემდეგ, საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, თავისი შვილი მეზობლის სახლში გადაიყვანა. ქმარი მიყვა ცოლს მეზობლის სახლამდე და გარეთ დარჩა. ამ დროს, შვილმა გაიხედა გარეთ, რა დროსაც ცოლმა დაიყვირა - „არ გაიხედო, ის ისვრის“ - და სწორედ ამ მომენტში გასროლის შედეგად ცოლი გარდაიცვალა. თუმცა, მისი ეს განცხადება სასამართლომ დასაშვებად ცნო, როგორც „სპონტანური განცხადება“.

⁴⁴ იმავე, გვ 98.

⁴⁵ მოხსენიებულია: <http://teacherweb.com/ON/PerthDistrictCollegiateInstitute/CindyRotar/Rules-of-Evidence-in-Canada-from-RCMP.pdf>; განახლებულია 10.07.2015.

⁴⁷ იმავე.

⁴⁸ ხელმისაწვდომია: <http://caselaw.canada.globe24h.com/0/0/british-columbia/provincial-court-of-british-columbia/2010/12/21/r-v-wilkinson-2010-bcpc-393.shtml> განახლებულია 10.07.2015

როგორც დასაწყისში აღინიშნა, მიუხედავად ირიბი ჩვენების დასაშვებობის კონკრეტული საგამონაკლისო გარემოების არსებობისა, მოსამართლე უფლებამოსილია, არ დაუშვას ირიბი ჩვენება, როდესაც მის მტკიცებულებით მნიშვნელობას გადაწონის საშიშროება, რომ მტკიცებულება არაობიექტურად იქნება აღქმული ან ის შეცდომაში შეიყვანს სასამართლოს. მეორე მხრივ, მოსამართლე უფლებამოსილია, დაუშვას ირიბი ჩვენება მტკიცებულებად, თუ სარწმუნოებისა და საჭიროების ტესტი არის დაკმაყოფილებული. აღნიშნულს ითვალისწინებს კანადის მტკიცებულებების შესახებ კანონის 37-ე მუხლის 6.1. ქვეპუნქტი,⁴⁹ რომელიც სასამართლოს ასევე შესაძლებლობას აძლევს, თავისი გადაწყვეტილება ასეთ მტკიცებულებაზე დაამყაროს.

4. ავსტრალია

ავსტრალიის კანონმდებლობის მიხედვით, ირიბი ჩვენება ზოგადად დაუშვებელ მტკიცებულებად ითვლება, თუ არ არსებობს დასაშვებობის გამონაკლისი შემთხვევები.⁵⁰ სასამართლო პრაქტიკა, რომელიც გამორიცხავდა ირიბ ჩვენებას და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში უშვებდა მას, აისახა 1995 წლის მტკიცებულების შესახებ აქტში. აღნიშნული აქტის 59-ე მუხლით⁵¹ განმარტებულია, რომ „სასამართლოს გარეთ პირის მიერ მანამდე გაკეთებული რეპრეზენტაციის (იგულისხმება როგორც ვერბალური, ისე სხვა ფორმით გამოხატული ინფორმაცია) შესახებ ირიბი მტკიცებულება დაუშვებელია იმ შემთხვევაში, თუკი ეს მტკიცებულება გამიზნულია იმ ფაქტობრივი გარემოების დადასტურებისთვის, რის დასადასტურებლადაც გაკეთდა პირველადი რეპრეზენტაცია.“

მტკიცებულების შესახებ აქტი აგრეთვე ჩამოთვლის იმ შემთხვევებს, როდესაც ირიბი ჩვენების ამკრძალავი ზოგადი წესი არ მოქმედებს იმ კონკრეტული შემთხვევების გათვალისწინებით, რომლებიც დამაჯერებლობის გარანტიებს ქმნიან. აქტი ეხება როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისათვის ირიბი ჩვენების დასაშვებობის გამონაკლისებს და შესაბამისად, ზოგიერთ შემთხვევაში, ირიბი ჩვენება სამოქალაქო პროცესში დასაშვებია, ხოლო სისხლის სამართლის პროცესში - არა. ხსენებული აქტის 65.2. მუხლის მიხედვით, ირიბი ჩვენება სისხლის სამართლის პროცესში დასაშვებია, თუ იმ პირის დაკითხვა, რომელმაც თავდაპირველი განცხადება გააკეთა, შეუძლებელია და

⁴⁹ იხ: <http://laws-lois.justice.gc.ca/eng/acts/c-5/page-15.html#h-9>

⁵⁰ REFORM AND PROPOSED REFORM OF HEARSAY LAW IN AUSTRALIA, NEW ZEALAND, HONG KONG, AND CANADA, WITH SPECIAL REGARD TO PRIOR INCONSISTENT STATEMENTS 2007 Annual Conference of the International Society for the Reform of Criminal Law Marian K. Brown, Crown Counsel Criminal Appeals and Special Prosecutions British Columbia Ministry of Attorney General, გვ. 8, ხელმისაწვდომია: <http://www.isrcl.org/Papers/2007/Brown.pdf>, განახლებულია 11.07.2015

⁵¹ Evidence Act 1995; ხელმისაწვდომია: <https://www.comlaw.gov.au/Details/C2012C00518>, განახლებულია 11.07.2015

განცხადება გაკეთებული იყო: ა) მის მიერ მოვალეობის შესრულების დროს; ბ) განცხადება გაკეთებული იყო მომხდარ ფაქტამდე ან მის შემდეგ მცირე დროში; გ) განცხადება გაკეთდა ისეთ გარემოში, რომელიც მისი სარმწუნოობის დონეს ადასტურებს; დ) განცხადება შინაარსობრივად შეიცავს განმცხადებლის საწინააღმდეგო ინფორმაციას.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ირიბი ჩვენების წესი ფართოდ განიმარტება და მასში არამარტო ჩვენება ან განცხადება იგულისხმება, არამედ ასევე დოკუმენტები, ქმედებები და ა.შ. ავსტრალიის მტკიცებულებათა კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, დასაშვები მტკიცებულებებია ისეთი დოკუმენტები, რომლებიც ა) შენახული იყო სამუშაო მიზნებისათვის ან შემუშავებული იყო სამსახურებრივი ჩანაწერების შემადგენელ ნაწილად; ბ) მოიცავს განცხადებას, რომელიც აისახა კონკრეტულ დოკუმენტში და გაკეთებული იყო ისევე სამსახურებრივი მიზნებისათვის.⁵²

იმავე კანონის 70-ე მუხლი ასევე გამონაკლისი სახით დასაშვებ მტკიცებულებად თვლის ისეთი ეტიკეტს, იარლიყს ან დოკუმენტს, რომელშიც: ა) ჩანაწერი გაკეთებულია ბიზნესის მიმდინარეობისას; ბ) ჩანაწერი გაკეთებულია იმ მიზნით, რომ აღწეროს პირის იდენტობა, ბუნება, საკუთრება, დანიშნულება, წარმომავლობა, ნივთის წონა, შემცველობა. გამონაკლისი ეხება ელექტრო კომუნიკაციებსაც.⁵³ კერძოდ, 71-ე მუხლის მიხედვით, ირიბი ჩვენების წესი არ მოქმედებს დოკუმენტის ან ელექტრო კომუნიკაციის მიმართ, თუ კომუნიკაცია განხორციელებულია და სასამართლოში დასაშვები ინფორმაცია ეხება ა) იმ პირის ვინაობას, რომლისგანაც ან რომლის სახელითაც გამოიგზავნა კომუნიკაცია; ბ) კომუნიკაციის გამოგზავნის თარიღს; გ) კომუნიკაციის დანიშნულებას ან/და ადრესატის ვინაობას.

73-ე მუხლის მიხედვით, გარკვეულ შემთხვევებში, ირიბი ჩვენების წესი არ მოქმედებს პირის რეპუტაციასთან დაკავშირებულ ცნობებზე. კერძოდ, იმ მტკიცებულების მიმართ, რომელიც ეხება შემდეგ გარემოებებს: ა) იყო თუ არა პირი დაქორწინებული საერთოდ ან გარკვეული დროის მანძილზე; ბ) იყვნენ თუ არა ერთად მცხოვრებნი დაქორწინებულნი; გ) ადამიანის ასაკს; დ) ოჯახის ისტორიას ან ოჯახურ ურთიერთობას.

5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

ირიბ ჩვენებაზე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსაც შედარებით მოქნილი მიდგომა აქვს. ზოგადად, სასამართლო ასეთ მტკიცებულებას ნაკლებად სანდოდ მიიჩნევს და „მაშინაც კი როდესაც არმყოფი მოწმის ჩვენება არ არის ერთადერთი ან საქმისათვის

⁵² იმავე. მუხლი 69.

⁵³ იმავე. მუხლი 70.

გადამწყვეტი მნიშვნელობის, მისი საქმეზე დაშვებით შეიძლება დაირღვეს მე-6 მუხლის პირველი და 3 (დ) ნაწილები, თუკი არ არსებობს მოწმის სასამართლოზე არდასწრების გამამართლებელი ობიექტური მიზეზი.“⁵⁴

2011 წლამდე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს აღნიშნულ საკითხზე შედარებით მკაცრი მიდგომა ჰქონდა და ავტომატურად კონვენციის დარღვევად მიიჩნეოდა ისეთი შემთხვევები, როდესაც პირის გამამტყუნებელი განაჩენი ემყარებოდა ირიბ ჩვენებას და ეს უკანასკნელი იყო ერთადერთი ან გადამწყვეტი მტკიცებულება პირის მსჯავრდებისათვის. საქმეში Luca v. Italy სასამართლო აღნიშნავს, რომ „თუკი დაცვის მხარეს ჰქონდა ადეკვატური და სათანადო შესაძლებლობა, შეემოწმებინა გამოძიების დროს გაკეთებული განცხადების ჭეშმარიტება საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, ასეთი განცხადების დასაშვებ მტკიცებულებად ცნობა, თავისთავად არ ეწინააღმდეგება კონვენციის მე-6 მუხლის პირველ და მე-3 („დ“) პარაგრაფებს. საწინააღმდეგოდ, თუკი გამამტყუნებელი განაჩენისთვის ერთადერთი, ან გადამწყვეტია იმ პირის მიერ გაკეთებული განცხადება, რომლის დაკითხვის, ან მისი სანდოობის შემოწმების შესაძლებლობაც არ გააჩნდა ბრალდებულს, ასეთი შემთხვევები წინააღმდეგობაში მოდის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი და მე-3 (დ) პარაგრაფებით განსაზღვრულ გარანტიებთან.“⁵⁵

2011 წელს საქმეში Al-Khawaja and Tahery v. United Kingdom ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ მანამდე არსებული მიდგომები ოდნავ შეარბილა და აღნიშნა, რომ ირიბი ჩვენების დასაშვებად ცნობა და მეტიც, მასზე გამამტყუნებელი განაჩენის დამყარება ავტომატურად არ არღვევს კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის მოთხოვნებს. გადაწყვეტილებაში სასამართლომ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ მნიშვნელოვანია ეროვნული კანონმდებლობის სისტემური შეფასება და არა კონკრეტულად იმის გარკვევა, უშვებს თუ არა ის შესაძლებლობას, გამამტყუნებელი განაჩენი დაემყაროს ირიბ ჩვენებას. პირველ რიგში, აუცილებელია დადგინდეს მოწმის გამოუცხადებლობა რამდენად იყო განპირობებული ობიექტური მიზეზებით. ამის პარალელურად, გადაწყვეტილების ირიბ ჩვენებაზე დამყარების შემთხვევაში, უნდა შემოწმდეს, რამდენად ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობა დამატებით პროცესუალურ მექანიზმებს, რომლებიც მთლიანობაში სამართლიანს აქცევს პროცესს და უზრუნველყოფს მხარისათვის იმ შესაძლო ზიანის დაბალანსებას, რასაც ასეთი მტკიცებულების დაშვება იწვევს.“⁵⁶

იგივე მიდგომა გაიზიარა ევროპულმა სასამართლომ საქმეში Horncastle and others v. United Kingdom, სადაც აღნიშნა, რომ ირიბი ჩვენების გამოყენება პირის მსჯავრდებისას ავტომატურად არ ნიშნავს კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ან 3 (დ) პარაგრაფის დარღვევას. თუმცა, რიგ შემთხვევებში, შეიძლება დაირღვეს ამ მუხლით გათვალისწინებული უფლება მოწინააღმდეგე მხარის მოწმის დაკითხვაზე. „როდესაც ირიბი ჩვენება მიღებულია მხედველობაში პირის მსჯავრდების გადაწყვეტისას, აუცილებელია,

⁵⁴ Al-Khawaja and Tahery v. United Kingdom; Grand Chamber Assessment # 120 აბზაცი

⁵⁵ Luca v. Italy; მე-40 აბზაცი.

⁵⁶ იქვე, 119 აბზაცი

შესაბამისი საპირფონო ფაქტორების (მტკიცებულებების) არსებობა, აგრეთვე ძლიერი საპროცესო გარანტიები, რომელიც ჩვენების სამართლიანი და სათანადოდ შეფასების საშუალებას იძლევა.⁵⁷ აღნიშნულ საქმეში სასამართლომ მიიჩნია, რომ თუნდაც ის მტკიცებულება, რომელსაც დაემყარა გამამტყუნებელი განაჩენი, მიჩნეულიყო საქმისათვის „გადამწყვეტად“, დარღვევა სახეზე არ იყო, რადგან ეროვნულ კანონმდებლობაში ზოგადად სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის საკმარისი გარანტიები არსებობდა.⁵⁸

სასამართლოს განმარტებით, „გადამწყვეტად“ ჩაითვლება ისეთი მტკიცებულება, რომლის გარეშეც, პირის მსჯავრდების შანსები ქრება ან მცირდება და მისი გამართლების შანსი იზრდება. რაც უფრო დიდია ირიბი ჩვენების მტკიცებითი მნიშვნელობა, მით უფრო დიდ უსამართლობად შეიძლება ჩაითვალოს მისი ავტორის ანონიმურად დატოვება ან მის გამოუცხადებლობაზე სასამართლოს თანხმობა. ასეთ შემთხვევებში, იმისათვის რომ არ დაირღვეს სამართლიანი სასამართლოს უფლება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მტკიცებულების უტყუარობისა და ავთენტურობის სათანადოდ შემოწმება.⁵⁹

„საკმარისი საპირფონო მექანიზმების არსებობისას, საფრთხეს აღარ წარმოადგენს ირიბი ჩვენების მხედველობაში მიღება პირის მსჯავრდებისათვის და არ არის შეუთავსებელი კონვენციის მე-6 მუხლში მოცემული სამართლიანი სასამართლოს გარანტიებთან.“⁶⁰

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ევროპული სასამართლოსთვის მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, რამდენად ობიექტური და დამაკმაყოფილებელი მიზეზები ჰქონდა პირველადი განმცხადებლის სასამართლოში გამოუცხადებლობას, და მეორე, ირიბი ჩვენებაზე გამამტყუნებელი განაჩენის დამყარებისას ითვალისწინებდა თუ არა ეროვნული კანონმდებლობა საკმარის მექანიზმებს, რათა დაებალანსებინა დაცვის მხარის უფლების შეზღუდვა, რაც გამოწვეული იყო მეორე მხარის მოწმის ჯვარედინი წესით ვერდაკითხვის გამო. მართალია, საქმეში Al-Khawaja and Tahery v. United Kingdom ევროპულმა სასამართლომ ნაწილობრივ შეარბილა მიდგომები, მაგრამ ამ საქმეშიც მკაფიოდ აღინიშნა, რომ აუცილებელია ყველა ისეთ შემთხვევაში, როდესაც გამამტყუნებელი განაჩენი ემყარება ირიბ ჩვენებას, განსაკუთრებულად კრიტიკულად შეფასდეს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიები, რამდენად საკმარისია ისინი ირიბი ჩვენების სანდოობის შესამოწმებლად და ზოგადად, უზრუნველყოფენ თუ არა ეს გარანტიები მთლიანი პროცესის სამართლიანობას.⁶¹

⁵⁷ Horncastle and others v. United Kingdom; 132 აბზაცი

⁵⁸ იქვე. 131 აბზაცი

⁵⁹ Al-Khawaja and Tahery v. United Kingdom; 139 აბზაცი

⁶⁰ იქვე.

⁶¹ იქვე. 159- 165 აბზაციები.

ნაწილი 3. ქართული კანონმდებლობა

1. ჩვენების ცნება და მნიშვნელობა

სამართალწარმოების პროცესში, მხარეთა მიერ თავიანთი პოზიციების მტკიცებისას, განსაკუთრებული როლი ენიჭება მოწმის მიერ სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებას. სისხლის სამართლის გამოძიების და შემდგომ საქმის სასამართლოში მსვლელობის ეტაპზე, სადაც ხდება უკვე მომხდარ ფაქტზე სრულყოფილი სურათის აღდგენა, მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და მათი შეფასება, მოწმის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, ხშირ შემთხვევაში, შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს.

კლასიკური გაგებით, პირისთვის მოწმის სტატუსის მინიჭება დამოკიდებულია შინაარსობრივ და ფორმალურ ასპექტებზე. შინაარსის თვალსაზრისით, მოწმე არის პირი, რომელმაც პირადად დაინახა, მოისმინა ან სხვაგვარად შეესწრო ისეთ ქმედებას, რომელიც მნიშვნელოვანია ფაქტის დადგენისთვის, ხოლო ფორმალური ასპექტი სახეზეა მას შემდეგ, რაც მოწმეს განემარტება მისი სტატუსი, უფლება-მოვალეობები და მოხდება ფიცის დადება.⁶² მსგავსი შინაარსის ჩანაწერს ვხვდებით ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც მოწმის განმარტებასთან დაკავშირებით: *პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი. პირი მოწმის სტატუსს და უფლება-მოვალეობებს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ.*⁶³

მოწმის მნიშვნელობიდან და მისი სტატუსიდან გამომდინარე, შესაფასებელია ის პროცესუალური ბერკეტები, რომლის მეშვეობითაც მხარეები ამოწმებენ და იკვლევენ ერთმანეთის მიერ მოწვეული მოწმის ჩვენების სანდოობას, რელევანტურობასა და უტყუარობას. ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებულების გამოკვლევის უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და კონკრეტულ შემთხვევებში შესაძლებელია მისი შეზღუდვა. თუმცა, უფლების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს საგამონაკლისო, ექსტრემალური შემთხვევებისგან თავის დაღწევის შესაძლებლობა, რაც გამორიცხავდა ბრალდებულის მიერ უფლების ბოროტად გამოყენებას, ან მტკიცებით პროცესში სამართალდამცავი სისტემისთვის არაადეკვატური ბარიერების შექმნას.⁶⁴

2. მოწმის ჩვენების შემოწმება

საქართველოს სისხლის საპროცესო კანონმდებლობის ერთ-ერთ პრინციპად აღიარებულია მტკიცებულებათა უშუალო და ზეპირი გამოკვლევა, რომლის მიხედვითაც, *სასამართლოს (ნაფიც მსაჯულებს) არ უნდა წარედგინოს მტკიცებულება, თუ მხარეებს მისი უშუალოდ და*

⁶² შტეფან ტრეესელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, გვ. 320

⁶³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 პუნქტი.

⁶⁴ შტეფან ტრეესელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, გვ. 315

ზეპირად გამოკვლევის თანაბარი შესაძლებლობა არ ჰქონიათ.⁶⁵ ამავდროულად, მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს მოწმის უშუალოდ დაკითხვა.

ჩვენების შემოწმების ყველაზე ეფექტურ გზას გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს წინაშე მისი პირდაპირი და ჯვარედინი წესით დაკითხვა წარმოადგენს. სასამართლოს წინაშე მოწმის უშუალოდ დაკითხვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ფონზე, რომ მისი ჩვენება, შესაძლოა, მრავალი შეცდომის წყარო გახდეს - ფაქტები დამახინჯდეს მათი დამახსოვრებისას, ან არასწორად განიმარტოს გახსენების დროს.⁶⁶ ამ კუთხით, კიდევ უფრო მეტ რისკებთან შეიძლება ასოცირდებოდეს მესამე პირისგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიცემული ჩვენების (ირიბი ჩვენება) საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დროს გათვალისწინება. ასეთი ჩვენების ავთენტურობისა და უტყუარობის ხარისხი კიდევ უფრო მეტ ეჭვს აღძრავს გამომდინარე იქიდან, რომ იგი ემყარება მინიმუმ ორი ადამიანის სუბიექტური აღქმის, ფაქტების დამახსოვრებისა და მათი სწორად გადმოცემის უნარებს.

პროცესის მონაწილე მხარეების თანაბარი პროცესუალური ბერკეტებით აღჭურვა, გამოიკვლიონ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებები (მათ შორის მოწმეთა ჩვენებები), პირდაპირ კავშირშია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის კონსტიტუციურ პრინციპთან.⁶⁷ აღნიშნული პრინციპი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით არის დაკონკრეტებული⁶⁸ ერთის მხრივ, მოქმედების პერიოდის, მეორე მხრივ კი, შინაარსის თვალსაზრისით. კერძოდ, შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი იმ მომენტიდან ხდება სავალდებულოდ დასაცავი, რაც პირს მიენიჭება ბრალდებულის სტატუსი, ანუ კონკრეტულ საქმეში ბრალდების მხარის საპირისპიროდ გაჩნდება დაცვის მხარე და აღნიშნული პრინციპი მოქმედებს საქმის დასრულებამდე. შინაარსობრივად აღნიშნული პრინციპი გულისხმობს მხარეების თანაბარ შესაძლებლობას, კანონმდებლობით დადგენილი წესით დააყენონ შუამდგომლობები, მოიპოვონ, გამოითხოვონ, წარადგინონ და გამოიკვლიონ მტკიცებულებები.

ცხადია, აღნიშნული პრინციპი არ გულისხმობს მხარეთა აბსოლუტურად იდენტური სამართლებრივი ბერკეტებით აღჭურვას (მაგალითად, ჩხრეკა-ამოღების გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარება მხოლოდ ბრალდების მხარეს შეუძლია), მაგრამ კანონმდებლობა მთლიანობაში უნდა უზრუნველყოფდეს მხარეთა თანასწორობას, მათთვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემას, რათა მოიპოვონ და გამოიკვლიონ მტკიცებულებები. რომელიმე მხარისთვის დამატებითი ბერკეტის მინიჭება ან პირიქით, მისთვის რაიმე ტიპის შეზღუდვის დაწესება უნდა იყოს საგამონაკლისო ხასიათის და თითოეული ასეთი შემთხვევა ადეკვატურად ბალანსდებოდეს. აღნიშნული პრინციპი ვრცელდება, მათ შორის, მოწმის დაკითხვისა და ჩვენებების შემოწმებაზე რელევანტურობის, ავთენტურობისა და უტყუარობის თვალსაზრისით.

⁶⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლი.

⁶⁶ ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, გვ. 323.

⁶⁷ საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁶⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლი.

3. ირიბი ჩვენება ქართულ კანონმდებლობაში

ირიბი ჩვენების, სხვა მტკიცებულებებისგან განსხვავებული წესით მოწესრიგებას, ქართულ კანონმდებლობაში არ აქვს ხანგრძლივი ისტორია და ის უკავშირდება სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის ამოქმედებას. კანონში არსებული ჩანაწერის მიხედვით, *ირიბია მოწმის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.*⁶⁹ აღნიშნული განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ ტერმინ „ირიბ ჩვენებაში“ იგულისხმება პირის მიერ როგორც ვერბალურად, ისე რაიმე სხვა ფორმით სასამართლოს გარეთ გავრცელებულ ინფორმაციაზე მეორე პირის მიერ სასამართლოში ჩვენების მიცემა. ირიბი ჩვენების განმარტებას მინიმალური ცვლილებაც არ განუცდია და ის დღესაც იმ ფორმით არის გადმოცემული საპროცესო კოდექსში, როგორსაც კოდექსის თავდაპირველი რედაქცია ითვალისწინებდა. თუმცა, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა მისი დასაშვებობისა და გამოყენების წესების განმსაზღვრელ ნორმებში.

ირიბი ჩვენების დასაშვებობისა და გამოყენების პირობებს საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლი განსაზღვრავს, მაგრამ მასში რიგი საკითხები ღიად არის დატოვებული. აღნიშნული მუხლი ორ ეტაპზე ითვალისწინებს ირიბი ჩვენების შემოწმების შესაძლებლობას. პირველად ეს ხდება წინასასამართლო სხდომაზე, სადაც მოწმდება ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს თუ არა ინფორმაციის წყაროს. 2013 წლიდან წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულების დასაშვებობისთვის ასევე აუცილებელ კრიტერიუმად განისაზღვრა, რომ მოწმის მიერ დასახელებული წყარო იძლეოდეს იდენტიფიცირებისა და მისი რეალურად არსებობის შემოწმების შესაძლებლობას.⁷⁰

ერთი მხრივ, აღნიშნული სიახლე წარმოადგენს საკმაოდ მაღალ სტანდარტს ჩვენების უტყუარობისა და ავთენტურობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რადგან ის არამარტო სავალდებულოდ მისათითებლად თვლის ზოგადად ინფორმაციის წყაროს, არამედ თანადროულად ადგენს, რომ უნდა არსებობდეს შესაძლებლობა, მოხდეს დასახელებული წყაროს იდენტიფიცირება და იმის შემოწმება, არსებობს თუ არა ასეთი წყარო რეალურად. მეორე მხრივ, კანონში არაა დაკონკრეტებული, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე რეალურად ახდენს ინფორმაციის წყაროს იდენტიფიცირებას და ამოწმებს მის არსებობას, თუ უბრალოდ ხდება კითხვაზე პასუხის გაცემა, რამდენადაა შესაძლებელი წყაროს იდენტიფიცირება და მისი ნადვილობის დადგენა.

ირიბი ჩვენების მეორე ეტაპზე შემოწმება უკვე საქმის სასამართლოში არსებითი განხილვისას ხდება და ამ დროს მოწმდება მისი მიმართება სხვა მტკიცებულებებთან: *„სასამართლოში არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება.“*⁷¹ აქაც 2013

⁶⁹ იქვე. 76-ე მუხლის პირველი ნაწილი.

⁷⁰ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი N 741 – IIIს

⁷¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

წლიდან შემოდის ახალი, უფრო მაღალი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც, ირიბი ჩვენების ვარგის მტკიცებულებად მიჩნევისათვის, საჭიროა არამარტო მისი დადასტურება სხვა მტკიცებულებით, არამედ ისიც, რომ ჩვენების დამადასტურებელი მტკიცებულება არ იყოს ასევე ირიბი ჩვენება.

კანონის აღნიშნული ჩანაწერიც გარკვეულწილად ბუნდოვანია. კერძოდ, გაურკვეველია, რამდენად სრულად უნდა დასტურდებოდეს ირიბი ჩვენება, საჭიროა თუ არა, მასში მოყვანილი ყველა ფაქტობრივი გარემოება ინდივიდუალურად დასტურდებოდეს სხვა მტკიცებულებით (რომელიც არ იქნება ირიბი ჩვენება), თუ ჩვენების ზოგადი შინაარსის დადასტურებაც საკმარისია მისი ვარგისად მიჩნევისათვის. შეუძლია თუ არა მოსამართლეს ავტონომიურად ამ საკითხის გადაწყვეტა, თუ აღნიშნული საფუძველით მტკიცებულების დაუშვებლად ცნობისთვისაც, აუცილებელია მხარის შუამდგომლობა. ამავდროულად, პასუხგაუცემელია, რა ხდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ირიბ ჩვენებაში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების ნაწილი გამყარებულია სხვა მტკიცებულებებით, ნაწილი კი - არა. ასეთი ვითარების წარმოქმნა მთლიანად ირიბი ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის საფუძველია თუ მხოლოდ ნაწილის?

ტერმინოლოგიურ ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ ნორმაში ყურადღება გამახვილებულია საქმის არსებითი განხილვისას მტკიცებულების დასაშვებად ცნობის საფუძველებზე, მაშინ, როდესაც საქმის წარმოების ამ ეტაპზე უკვე ყველა მტკიცებულება დასაშვებადაა ცნობილი. შესაბამისად, თუკი წინასასამართლო სხდომაზე დასაშვებ მტკიცებულებად მიჩნეული ირიბი ჩვენება არ დადასტურდება სხვა მტკიცებულებით, ეს უნდა იყოს ჩვენების დაუშვებლად ცნობის საფუძველი, რა დროსაც მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს არ ექნებათ უფლება, გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნონ მას.

ამ კონტექსტში, შესაძლოა წამოიჭრას უფრო ფუნდამენტური პრობლემა: კანონმდებელი შედარებით დაბალ სტანდარტს ადგენს წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულების დასაშვებობისთვის, ხოლო შემდეგ ამ მტკიცებულებას უფრო რთული ტესტის გავლა უწევს არსებით სხდომაზე, რათა მოსამართლე მას გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნოს. ერთი შეხედვით, ასეთ მოწესრიგებაში დევს ლოგიკა, რადგან წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულების შინაარსში სიღრმისეული შესვლა და მასზე დისკუსია გაუმართლებელი იქნებოდა. თუმცა, თუკი წინასასამართლო სხდომის სტანდარტი ვერ უზრუნველყოფს ნაკლებად სანდო მტკიცებულებების ამ ეტაპიდანვე გამორიცხვას და საბოლოოდ გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლის წინაშე ისეთი მტკიცებულება წარსდგება, რომელიც რეალურად არასანდოა, ამან შეიძლება გავლენა იქონიოს მოსამართლის შინაგან რწმენაზე, მიუხედავად იმისა, აღნიშნული მოსამართლე არსებითი განხილვისას ამორიცხვავს თუ არა საქმიდან ამ მტკიცებულებას. პრობლემა კიდევ უფრო მწვავედება ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმეს განიხილავს ნაფიც მსაჯულთა კოლეგია და ფაქტობრივად შეუძლებელია იმის დადგენა, რა არგუმენტაციას დაამყარეს მსაჯულებმა ვერდიქტი.

საპროცესო კოდექსში ასევე არაა დაკონკრეტებული, პირის ბრალდებულად ცნობისას ან სასამართლოში მისი პირველი წარდგენის დროს, მოსამართლის მიერ აღკვეთის ღონისძიების შერჩევასა და ინტენსივობით და ფარგლებით არის შესაძლებელი ირიბი ჩვენების გამოყენება.

4. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ირიბ ჩვენებაზე

2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით⁷² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან⁷³ მიმართებით არაკონსტიტუციურად ცნო საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებისა (გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას) და 169-ე მუხლის პირველი ნაწილის (პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩადინა) ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც იძლევა ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის (სსსკ-ის მე-13 მუხლი) ან მისი ბრალდებულად ცნობის (სსსკ-ის 169-ე მუხლი) შესაძლებლობას.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძირითადი არგუმენტაცია მდგომარეობს იმაში, რომ აღნიშნული ნორმები ვერ უზრუნველყოფენ მტკიცებულებათა უტყუარობის კონსტიტუციური პრინციპის სავალდებულო დაცვას. სასამართლოს მსჯელობით, „უტყუარობის კონსტიტუციური პრინციპი მოითხოვს იმას, რომ საეჭვო, მცდარი ან სავარაუდოდ გაყალბებული მტკიცებულებები გამოირიცხოს სისხლის სამართლის საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებებიდან. გამოირიცხული უნდა იყოს გონივრული ეჭვი წარდგენილი მტკიცებულების ნამდვილობასთან და სანდოობასთან დაკავშირებით... კანონმდებელი ვალდებულია, აღჭურვოს სასამართლო სახელმძღვანელო პრინციპებით, რომელიც მას ირიბი ჩვენების დასაშვებობის საკითხის ან, ასეთ ჩვენებაზე დაყრდნობით, განაჩენის მიღებაში დაეხმარება.“⁷⁴

იგივე გადაწყვეტილების მიხედვით, საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლით ირიბი ჩვენების დასაშვებად ცნობისთვის დადგენილი სპეციალური კრიტერიუმები არასაკმარისია, რადგან ამ ნორმაში ერთმნიშვნელოვნად არ იკითხება მოწმის მიერ იდენტიფიცირებული წყაროს სათანადოდ შემოწმების ვალდებულება და წესი.⁷⁵ აღსანიშნავია ისიც, რომ ირიბი ჩვენების

⁷² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N1/1/548 გადაწყვეტილება.

⁷³ „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“.

⁷⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N1/1/548 გადაწყვეტილება, ¶25.

⁷⁵ იქვე. ¶29.

შემთხვევაში, ნაკლებად ეფექტურია ცრუ ჩვენების მიცემისთვის გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რადგან ირიბი ჩვენების მიმცემ პირს არ შეუძლია დაადასტუროს პირველადი წყაროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის უტყუარობა, ის მხოლოდ იმეორებს ამ ინფორმაციას და არ აგებს პასუხს მის ჭეშმარიტებაზე.⁷⁶

სასამართლო გაუმართლებლად მიიჩნევს ირიბი ჩვენების ავტომატურად დაშვებას და მისი გამოყენების შესაძლებლობას განურჩევლად იმისა, თუ რა ფორმით, რა პირობებში და საშუალებით გახდა ცნობილი ირიბი ჩვენების მიმცემი პირისთვის აღნიშნული ინფორმაცია. განსაკუთრებულად კრიტიკულ შეფასებას იმსახურებს ე.წ. ორმაგი ირიბი ჩვენების დაშვების შესაძლებლობა.

„საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს, გამონაკლის შემთხვევებში, ირიბი ჩვენების გამოყენების მართლზომიერებას. ასეთი გამონაკლისის დაშვება შესაძლოა გამართლებული იყოს, თუ არსებობს ობიექტური მიზეზი, რის გამოც შეუძლებელია იმ პირის დაკითხვა, რომლის სიტყვებსაც ემყარება ირიბი ჩვენება და, როდესაც ეს აუცილებელია მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე.“⁷⁷

საინტერესო მსჯელობას ავითარებს სასამართლო ირიბი ჩვენების მტკიცებით ხარისხსა და წონაზე, რომლის მიხედვითაც, მტკიცებულება ვერ იქნება უტყუარი, თუ ის იმაზე მეტ გავლენას ახდენს მართლმსაჯულებაზე, ვიდრე ეს მისი ბუნებიდან გამომდინარეობს.⁷⁸ გამომდინარე იქიდან, რომ ირიბი ჩვენება ნაკლებად სანდო მტკიცებულებაა, მისი გამოყენება შეიცავს პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით მცდარი აღქმის წარმოქმნის საფრთხეს და მისი გამოყენება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში უნდა დაიშვებოდეს.⁷⁹

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ლოგიკა დაემყარა ერთი მხრივ ირიბი ჩვენების ნაკლებ საიმედოობასა და მტკიცებულებით ხარისხს, მეორე მხრივ კი, მისი დასაშვებობისთვის განსაზღვრულ მეტად ზოგადი წესების არსებობას, რის გამოც არაა უზრუნველყოფილი ამ მტკიცებულებათა უტყუარობის კონსტიტუციური ხარისხი. ამ ფონზე, პროკურორს და მოსამართლეს არ უნდა ჰქონდეთ მინიჭებული ზედმეტად ფართო შესაძლებლობა, ბრალდების დადგენილების ან საბოლოო განაჩენის გამოტანისას, გადაწყვეტილება დააყრდნონ ირიბ ჩვენებებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ფაქტობრივად პროკურატურას და საქმის განმხილველ მოსამართლეს წაერთვა შესაძლებლობა, ბრალდების დადგენილების ან საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას რაიმე ფორმით დაეყრდნოს ირიბ ჩვენებას. მართალია, საკონსტიტუციო სასამართლოს აბსოლუტურად არ გამოურიცხავს

⁷⁶ იქვე. ¶31.

⁷⁷ იქვე. ¶36.

⁷⁸ იქვე. ¶51.

⁷⁹ იქვე. ¶52.

აღნიშნული მტკიცებულებების გამოყენების შესაძლებლობა, მაგრამ მანამ, სანამ შესაბამისი ცვლილებები საპროცესო კანონმდებლობაში არ აისახება და არ დადგინდება ის კონკრეტული გამონაკლისები, თუ როდისაა დასაშვები ირიბი ჩვენების გამოყენება, მოქმედი ნორმატიული წესრიგის პირობებში, მითითებულ ორ საკითხზე გადაწყვეტილების მიმღებ პირებს არ შეუძლიათ, ზოგადად გამოიყენონ და მითუმეტეს დაეყრდნონ ირიბ ჩვენებას.

5. დეპონირებული ჩვენება და ირიბი ჩვენება

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განვითარებულ ლოგიკას ეფუძნება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში უკვე არსებული ნორმები, რომლებიც ასევე მოწმის ჩვენებას ეხება. კერძოდ, საპროცესო კოდექსი კრძალავს გამოძიების დროს მოწმის მიერ დეპონირებული ჩვენების (თუნდაც ის საპროცესო ნორმების სრული დაცვით იყოს მიცემული) სასამართლოს არსებით სხდომაზე საჯაროდ წაკითხვას ან მისი აუდიო-ვიდეო ჩანაწერის მოსმენას (დემონსტრირებას), გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც მოწმე გარდაიცვალა, არ იმყოფება საქართველოში, უცნობია მისი ადგილსამყოფელი ან ამოწურულია მისი სასამართლოში წარდგენის ყველა გონივრული შესაძლებლობა.⁸⁰

მიუხედავად იმისა, რომ ირიბ ჩვენებასთან შედარებით, დეპონირებული ჩვენების უტყუარობასა და ავთენტურობასთან შესაძლოა ნაკლები რისკები არსებობს, რადგან ის მიღებულია ინფორმაციის პირველწყაროდან, ფაქტისა თუ გარემოების უშუალო თვითმხილველისგან, კანონმდებელი მაინც აწესებს მნიშვნელოვან ბარიერებს ასეთი ჩვენების არსებით სხდომაზე საჯაროდ წაკითხვისთვის. ამის უმთავრესი მიზანს, გადაწყვეტილების მიმღები პირის წინაშე თითოეული მტკიცებულების უშუალოდ, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით გამოკვლევა წარმოადგენს. ირიბი ჩვენების დროს აღნიშნული სტანდარტი უზრუნველყოფილი არ არის, რადგან იგი არ მომდინარეობს უშუალოდ პირველწყაროდან, მისი ავთენტურობა და უტყუარობა ნაკლებად საიმედოა. თუმცა, აღნიშნული ჩვენების დასაშვებად ცნობისთვის ან მის საფუძველზე კონკრეტული გადაწყვეტილების მისაღებად, საკმარისია ინფორმაციის წყაროს მითითება და სხვა მტკიცებულებით აღნიშნული ჩვენების დადასტურება. უშუალოდ ინფორმაციის გამავრცელებლის (პირველწყაროს) სასამართლოს წინაშე გამოკვლევის, მისი პირდაპირი და ჯვარედინი წესებით დაკითხვის ვალდებულებას კანონი არ ითვალისწინებს.

დეპონირებული ჩვენების მხოლოდ საგამონაკლისო წესებით წაკითხვის შესაძლებლობა, ისევე როგორც, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მოტივაცია, პირდაპირ კავშირშია მტკიცებულებების უშუალოდ გამოკვლევის პრინციპთან, რომლის დროსაც მხარეებს აქვთ თანაბარი შესაძლებლობა, ეჭვქვეშ დააყენონ ან პირიქით, გაამყარონ მოწმის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სანდოობა.

ირიბი ჩვენების გამოყენებაზე შედარებით მაღალი სტანდარტების დაწესება (იგულისხმება სხვა მტკიცებულებებით გამყარების და მოწმის მიერ ინფორმაციის სანდო და

⁸⁰ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის პირველი ნაწილი.

გადამოწმებადი წყაროს მითითების სავალდებულობა), მაგრამ მათ დასაშვებობაზე ზოგადი ნორმების გავრცელება, სათანადოდ ვერ აზღვევს მართლმსაჯულების შეცდომაში შეყვანის საფრთხეებს. ასეთ ვითარებაშიც კი, მარტივად შესაძლებელია, ირიბ ჩვენებას, რომლის პირველწყარო არ გამოკვლეულა შეჯიბრებითობის პრინციპების დაცვით, პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვების პროცედურით, მიენიჭოს მაღალი მტკიცებითი წონა და კონკრეტული ფაქტობრივი გარემოება ჩაითვალოს მომხდარად სწორედ ამ მტკიცებულების საფუძველზე. აღნიშნული კი წინააღმდეგობაში მოდის მტკიცებულებათა უტყუარობის და მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებთან.

6. დასკვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათლად აღინიშნა, რომ ბრალდების დადგენილების და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას, შესაბამისად, პროკურორი და მოსამართლე არ უნდა დაეყრდნონ ირიბ ჩვენებას, (მათ შორის ისეთ შეთმხვევაშიც კი, თუკი ირიბი ჩვენება არაარსებითი მტკიცებულებაა), რადგან საპროცესო კანონმდებლობა ადგენს ასეთი მტკიცებულების დასაშვებობის მეტად ზოგად და ფართო წესებს, რაც ვერ უზრუნველყოფს მართლმსაჯულების არასანდო და ნაკლებსაიმედო მტკიცებულებებისგან გაფილტვრას. მოცემული ნორმატიული წესრიგის და დამატებითი რეგულაციების არარსებობის პირობებში, აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ ირიბი ჩვენება საერთოდ არ უნდა იყოს გამოყენებული როგორც პროკურატურის მიერ საბრალდებო დასკვნის შედგენის, ასევე სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას. სხვაგვარად, მანამ, სანამ არ განხორციელდება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, ირიბი ჩვენება, როგორც მტკიცებულება, სისხლის სამართლის საქმიდან საერთოდ უნდა ამოირიცხოს და არ უნდა გამოიყენებოდეს მართლმსაჯულების არცერთ ეტაპზე.

შესაბამისად, საჭიროა, კანონმდებლობით განისაზღვროს და დადგინდეს კონკრეტული შემთხვევები, როდესაც ირიბი ჩვენება ჩაითვლება დასაშვებ მტკიცებულებად. ამავდროულად, სახელმწიფომ უნდა დაიცვას ბალანსი და უზრუნველყოს, რომ ასეთი მტკიცებულების დაშვებამ არ გამოიწვიოს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის შელახვა და შეიმუშავოს მექანიზმები, რომლებიც მთლიანობაში მართლმსაჯულების პროცესს სამართლიანს გახდის.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისა და საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ მხარეთა თანასწორობისა და მტკიცებულებათა უშუალოდ გამოკვლევის პრინციპები ავტომატურად არ გულისხმობს ირიბი ჩვენების აბსოლუტურ აკრძალვას, თუმცა ამ მიმართებით საჭიროა ფრთხილი მიდგომა. მნიშვნელოვანია, გაიწეროს ნათელი და კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ჩვენების დასაშვებად ცნობა.

ირიბი ჩვენების საკითხის გადაწყვეტისას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსამართლის როლი. მოსამართლე არ უნდა იდგეს ზედმეტად ბუნდოვანი დილემის წინაშე - დაუშვას თუ

არა ირიბი ჩვენება საქმეში. გადაწყვეტილების მიღებისას, მოსამართლეს უნდა ჰქონდეს მკაფიო საკანონმდებლო მოწესრიგება საკითხზე და ამავდროულად, უნდა შეეძლოს მტკიცებულების სანდოობისა და უტყუარობის რეალური შემოწმება. ამ კუთხით, გადამწყვეტი როლი ენიჭება წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს, რომელმაც უნდა შეასრულოს რეალური ფილტრის როლი, რათა არსებით განხილვაზე არ დაიშვას ისეთი მტკიცებულება, რომელიც თავისი ბუნებით არაა სანდო და მაღალი მტკიცებულებითი ხარისხის, მაგრამ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მოსამართლის თუ ნაფიცი მსაჯულების შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებაზე.